განკარგულება:**g-87.87212164**
თარიღი:**04/08/2021**

განკარგულება №30

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქ. ახმეტაში (ბ. ჩოლოყაშვილის სახელობის სკვერი) მდებარე 10კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართის პირობიანი ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით განკარგვისას, საიჯარო ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“- ს 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.“ ქვეპუნქტის, მე- 4 პუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 08.12.2014 წლის N669 დადგენილების 36-ე მუხლის პირველი პუნქტისა, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 51-ე, 52-ე, მუხლების, 53-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების, 54-ე და 57-ე მუხლების შესაბამისად ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. დამტკიცდეს, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული **ქ. ახმეტაში (ბ. ჩოლოყაშვილის სახელობის სკვერი) მდებარე 10კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართის პირობიანი ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით განკარგვისას,** (საკადასტრო კოდი 50.04.42.591)

- სარგებლობის უფლებით გაცემის წლიური ქირის საწყისი საფასური, 434.0 (ოთხასოცდათოთხმეტი) ლარის ოდენობით:

- სარგებლობის უფლებით გადაცემის ვადა 5 (ხუთი) წელი.

- პირობა შემდეგი სახით: აღნიშნულ ფართში განთავსდეს მცირეწლოვან ბავშვთა გასართობი მცირე ზომის სარწეველა დანადგარები.

2. განკარგულება გადაეგზავნოს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას, აგრეთვე გამოქვეყნდეს საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 57-ე მუხლით განსაზღვრული წესით და ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (ქ.თელავი, აღმაშენებლის ქ.N41)

თამარ ყეინიშვილი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/

0900 ქ. ახმეტა ჩოლოყაშვილის ქ N49 TEL:+995 349 22 22 99; +995 349 22 15 46
ელ–ფოსტა:AKHMETA.SAKREBULO@GMAIL.COM